ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1841186

ნომერი: AR1302172

თარიღი : 16.04.2015

გაცემის თარიღი : 22.04.2015

გაცნობის თარიღი : 22.04.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გმირთა , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დემურ ლორია პ/ნ 01015004874
- თბილისი კრწანისის ქ. N 16 კორ. 8 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს პარლამენტის მიერ ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონში (47-ე მუხლი) განხორციელებული ცვლილების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვებს გასცემს სამინისტრო ან სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო. ნებართვა გაიცემა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო ვადით, სამუშაოთა მოცულობის, სირთულის, გარემო პირობების, ასევე ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუინიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გმირთა მოედ. N1–ში ლედ მონიტორის განთავსების საკითხს.

გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, გმირთა მოედ. N2–ში არსებულ შენობა-ნაგებობას მინიჭებული აქვს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები განეკუთვნება მცირე სარეაბილიტაციო სამუშოებს (ფასადის სამღებრო სამუშაოები; აბრებისა და შუქფრების განთავსება; საინჟინრო კომუნიკაციების შეკეთება, გამოცვლა, დამონტაჟება მზიდი კონსტრუქციული ნაწილების ცვლილების გარეშე; ცალკეული არქიტექტურული დეტალების, მათ შორის, ღიობების, კიბეების, აივნების, დეკორატიული ელემენტების სახეცვლილება, ინტერიერში ჩასატარებელი სარესტავრაციო, სამღებრო ან სარემონტო, ასევე ძეგლის გაწმენდის სამუშაოები).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს მიერ არასწორად მოხდა განაცხადის დარეგისტრირება, რადგან კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე არ ვრცელდება მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება და თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენს მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს. აქედან გამომდინარე, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში: ელექტრონული განაცხადები>მშენებლობის ნებართვა>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი>მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (აღნიშნული ქმედების განსახორციელებლად, სამსახურის მიერ ჩართულია ნომენკლატურის ცვლილების უფლება).

ამასთანავე გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილებით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის თაობაზე უფლებამოსილების დელეგირების (გადაცემის) შესაძლებლობა მიენიჭა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმების მეშვეობით. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნულ სამინისტროსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს შორის მითითებული შინაარსის ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების თაობაზე მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები და საკითხი შესულია გადამწყვეტ ფაზაში, თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით საკითხს განიხილავს უფლებამოსილი საბჭო მისი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ფარგლებში ჩამოყალიბების შემდგომ უმოკლეს ვადებში.

საკითხის განსახილველად უნდა მიმართოთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მდებარე, ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.#4.